ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №56

კლასიფიკატორის კოდი:
CPV39715220 - ელექტროგამათბობელი მოწყობილობები;
CPV39717100 - ვენტილატორები

ქ. თბილისი **4/12/2018 წ.**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორი ნინო მაჭარაშვილის სახით და მეორე მხრივ **შპს მეგა მოლი** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ედიშერ ჩოკორაიას** სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებიდან ერთი (1) ერთეული **ჰაერის დამატენიანებელი ვენტილატორის (CPV39717100)** (მოდელი-Vitec VT-2331 CTO000012757) **და** ხუთი (5) ერთეული **ელექტროგამათბობელის შეძენა (CPV39715220)** (მოდელი-Saachi NL-HR-2607 13678); **(იხ დანართი N1)**, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად;
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **744.00 (შვიდას ორმოცდაოთხი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით;
2.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2018 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით;**
2.4. ხელშეკრულება მოქმედებს მისი **ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:

3.1 მიწოდების ადგილი:

- **ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის N76**

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მიწოდებული ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე, უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია;
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;
4.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დირექტორი ნინო მაჭარაშვილი;
4.5. შემსყიდველს უფლება აქვს მომსახურების არასათანადო ხარისხით შესრულების შემთხვევაში მოახდინოს მიმწოდებლის გაფრთხილება და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა. მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოსწოროს ნაკლი. აღნიშნული გარემოების ორჯერ აღმოჩენის შემთხვევაში შემყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;
5.2 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **1 (ერთი) წელი.** საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დირექტორი ნინო მაჭარაშვილი;
6.2 კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფუძველზე, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
7.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
8.3. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული ობიექტის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება;
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11.სხვა პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით; ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
11.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს

თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

12.მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“	შპს მეგა მოლი
ს/კ 405265680	ს/კ 406146040
მის.: ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის N76	იურიდიული მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ლილოს დას., V კვ., კორ.2, ბ.108 ფაქტიური მის.: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ. N32
ელ. ფოსტა: info@tml.ge	ელ. ფოსტა: edisher@megamall.ge ტელ: +995596222211
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22	სს თი ბი სი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE16TB7016736020100009
დირექტორი: ნინო მაჭარაშვილი	დირექტორი: ედიშერ ჩოკორაია

დანართი N1

ქ. თბილისი 4/12/2018 წ.

N	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა ლარი
1	გამათბობელი ვენტილატორით Saachi NL-HR-2607 13678	ცალი	5	99.00	495.00
2	ჰაერის დამატენიანებელი Vitec VT-2331 CTO000012757	ცალი	1	249.00	249.00
				ჯამი	744.00

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი 4/12/2018 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ მიერ გამარტივებული შესყიდვის შედეგად 2018 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული N56 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ერთი (1) ერთეული ჰაერის დამატენიანებელი ვენტილატორის (CPV39717100) (მოდელი-Vitec VT-2331 CTO000012757) და ხუთი (5) ერთეული ელექტროგამათბობელის (CPV39715220) (მოდელი-Saachi NL-HR-2607 13678) შესყიდვა,** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მიმდინარეობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და

კონტროლზე პასუხისმგებელი პირი:

დირექტორი:

ნინო მაჭარაშვილი

UTMML
ს/ბ 405265680